



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის  
განკარგულება №02-402/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო  
ორგანიზაციის „კავშირი 21-ე საუკუნე“ დამკვირვებლების რეგისტრაციაზე უარის  
თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 18 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** უარი ეთქვათ დამკვირვებლებად რეგისტრაციაზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „კავშირი 21-ე საუკუნე“ წარმომადგენლებს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან დანიშნული/არჩეული არიან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად შემდეგ კომისიებში:

1. შალვა პაპიაშვილი - № 27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიის №42 საუბნო საარჩევნო კომისია;
2. არზუმან ასლანიან - № 41 ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის №11 საუბნო საარჩევნო კომისია;
3. ხორენ ტამასიან - № 41 ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის №15 საუბნო საარჩევნო კომისია.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის მდივანი**

**გიორგი ჯავახიშვილი**